

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

საინვესტიციო კლიმატი საქართველოში: უახლესი მიღწევები და გამოწვევები

თეა ქბილცეცხლაშვილი

სადოქტორო დისერტაციის რეფერატი ბიზნესის მენეჯმენტში (ფინანსები და
საბანკო საქმე)

თბილისი 2010

ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ქეთევან ლაფაჩი

.....
(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

პროფ. დოქტ. გიორგი ბადათურია

დოქტ. აკინტუნდე აკინოლა ნათანიელი.....

ოპონენტები:

ასოც. პროფ. დოქტ. მარინა მუხიაშვილი

პროფ. დოქტ. ლალი ჩაგელიშვილი

1. ნაშრომის მოკლე შინაარსი

ეკონომიკურ ლიტერატურაში საინვესტიციო კლიმატი განიხილება როგორც ეკონომიკური და ინსტიტუციონალური გარემოს თვისებრიობა, რომელშიც ფიზიკური და იურიდიული პირები ვითარდებიან და აბანდებენ კაპიტალს. აღიარებულია, რომ კარგი საინვესტიციო კლიმატი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირებაზე ორიენტირებული სტრატეგიის არსებითი შემადგენელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მეტი და ხარისხიანი ინვესტიციების მოზიდვას, უფრო პროდუქტიული და მაღალ შემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნას და შესაბამისად, სიდარიბის დაძლევისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნა და ინვესტიციების წახალისება ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისათვის პრიორიტეტული ამოცანაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი მცირე და დაბალშემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა პროგრესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუ) შემოდინებაზე.

რეალური საბაზრო ვითარების ანალიზის საფუძველზე თეზისში განხილულია ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები, გაანალიზებულია საინვესტიციო აქტივობის და შესაბამისად ინვესტიციების მოცულობის შემცირების მიზეზები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები თუ როგორ უნდა გავზარდოთ ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის კონკურენტუნარიანობა, რათა შევინარჩუნოთ უკვე არსებული და მოვიზიდოთ ახალი ინვესტორები.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა არსებული საინვესტიციო კლიმატის კომპლექსური შეფასებისა და მომავალი ცვლილებებისათვის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენის მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 165 გვერდს. შედგება 4 თავის, 36 ქვეთავის, წყაროების, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ტექსტში ჩართულია 29 საანალიზო ცხრილი, 13

დიაგრამა და 2 დანართი. ნაშრომს თან ერთვის 123 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

თემის **შესავალ ნაწილში** განხილულია საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა. საუბარია იმ ძირითად ტენდენციებზე, რაც საინვესტიციო კლიმატის შესწავლისთვის და პუის მოზიდვისთვისაა აუცილებელი. ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები. გადმოცემულია აგრეთვე პკლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, აღწერილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პრობლემის აქტუალობა. ინვესტიციების მოზიდვის საკითხი, საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის მეტად აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, 2003 წლის (“ვარდების რეგოლუციის”) შემდგომ, საინვესტიციო კლიმატი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაინც რჩება კერძო საკუთრების დაცვის, ფინანსური გამჭვირვალობის, სტაბილურობის, ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ადსანიშნავია, რომ მიუხედავად ქვეყნის გაუმჯობესებული რეიტინგებისა, რაც ძირითადად სამეწარმეო საქმიანობის დაწყების გაადვილებასა და ბაზარზე შესვლის პროცედურების გამარტივებაში გამოიხატება, ქვეყანაში ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემად რჩება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ინვესტორთა უნდობლობა და არასტაბილურობის განცდა, ფინანსური გამჭვირვალობის დეფიციტი, დისკრიმინაციული დამოკიდებულება სახელმწიფო შესყიდვებისა და პრივატიზების პროცესებში და სხვა მრავალი, რომელიც გარდა საერთაშორისო ფინანსური კრიზისისა და საომარი ვითარებით გამოწვეული საფრთხეებისა, მნიშვნელოვან წილად გამოწვეულია ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიაში არსებული ხარვეზებით და ინვესტორისადმი დამოკიდებულებაში არსებული შეცდომებით, რაზედაც მიუთითებენ, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ექსპერტები და ბიზნესის წარმომადგენლები. ზემოაღნიშნულის დადასტურებად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საინვესტიციო ნაკადების მოცულობების შემცირებაც. გარდა ამისა, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარება და პირდაპირი ინვესტიციების დინამიკის შედარება შესაბამისი დარგების ეკონომიკური განვითარების ძირითად პარამეტრებთან ნათელპყოფს, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომი

წარმატებები საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებაში და პუ-ს მოცულობის ზრდის ტემპები 2005-2007 წლებში ადექვატურად არ ასახულა საზოგადოების ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე.

დღევანდელ ვითარებაში: შემცირებული ინვესტიციები, გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეული საერთაშორისო საინვესტიციო რესურსების მწვავე დეფიციტი და მათი მობილიზაციის პრობლემები (პირველ რიგში კი უნდობლობა), დღის წესრიგში აყენებს საინვესტიციო პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესებისა და ინვესტორთა დაცვის მყარი გარანტიების შექმნის საკითხს. მოსალოდნელია, რომ ეს საკითხი მით უმეტეს აქტუალური გახდება მას შემდეგ, რაც დასრულდება 2011 წელს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ომის შემდგომ პრობლემების დაძლევისა და რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი სახსრების 4.5 მილიარდი დოლარის შემოდინება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ინვესტიციების მნიშვნელობი აღიარებული როლისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა, კიდევ უფრო აქტუალური გახდა არსებული საინვესტიციო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი/შეფასება და მისი გაჯანსაღების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ინვესტორთა მოზიდვის მიზნით კიდევ უფრო აქტუალური გახდა ისეთი ამოცანების განხორციელება, როგორიცაა: საინვესტიციო საზოგადოებაში ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესება, საინვესტიციო აქტივების წახალისება, პოტენციური და არსებული ინვესტორების სტიმულირება და მხარდაჭერა და სხვა.

უკავშირის ზემოაღნიშნულმა, საქართველოში პუ - ს ნაკადების შემცირებასთან ერთად, კიდევ უფრო გაზარდა საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის და შესაბამისად საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღება კრიტიკულ/აქტუალურ თემად აქცია. ასეთ ვითარებაში ძირითადი ამოცანა/გამოწვევა ინვესტორთა ნდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა/შენარჩუნება, სათანადო მასტიმულირებელი დონისძიებების გატარება და ლია ეკონომიკისადმი კურსის შენარჩუნება.

კვლევის საგანი. საქართველოს ზოგადი/ჩარჩო საინვესტიციო პოლიტიკა და გარემო.

კვლევის მიზნები და ამოცანები. წინამდებარე კვლევა განხორციელდა არსებული საინვესტიციო კლიმატის კომპლექსური შეფასებისა და მომავალი ცვლილებებისათვის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენის მიზნით.

კვლევის ძირითადი მიზანია საინვესტიციო კლიმატის კონცეფციის განსაზღვრა, როლისა და მნიშვნელობის შეფასება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის ანალიზი, ძირითადი პრობლემატური არეაბის გამოვლენა და პრიორიტეტების განსაზღვრა ქვეყნის კონკურენტული საინვესტიციო სტრატეგიის განვითარებისათვის და ამ მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი გზებისა და აღიარებული ტენდენციების შეფასება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კვლევის ძირითად ამოცანებად დასახულ იქნა შემდეგი:

- პუი-ს ტენდენციების (დინამიკა, სტრუქტურა) ანალიზი და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე გავლენის განსაზღვრა;
- არსებული საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის, აგრეთვე მარეგულირებელი გარემოს კომპლექსური შეფასება;
- ინვესტორთათვის ძირითადი პრობლემატური სფეროების გამოვლენა;
- საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება საინვესტიციო რესურსების მოსაზიდად ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ურთიერთდამოკიდებულების მატემატიკურ-სტატისტიკური მოდელირება;

კვლევის მეთოდოლიგია. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია: საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების (WB, EU, OECD, UNCTAD, TACIS და სხვა) მიერ საინვესტიციო კლიმატის თემაზე გამოქვეყნებული მოხსენებები,

საინვესტიციო საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, გამოცემები, კვარტალური და ყოველწლიური ანგარიშები. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ა.შ.

საქართველოს საინვესტიციო კლიმატის კომპლექსური შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა კვლევის მრავალმხრივი სტრატეგია და მეთოდები. ძირითადი პრობლემატური სფეროების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევა. მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა წყაროებიდან: ოფიციალური ვებ – გვერდებიდან, დადასტურებული დოკუმენტური წყაროებიდან, ინტერვიუებიდან და სხვა.

პუ - ს და ეროვნული შიდა პროდუქტის (ეშპ) რაოდენობრივი ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად ჩატარდა რეგრესიული ანალიზი, სადაც ანალიზის გასაკეთებლად განისაზღვრა შესაბამისი საკვლევი მიზანი. საანგარიშო პერიოდი განისაზღვრა 1997-2009 წლებით.

საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, ზოგადი და სპეციფიკური საინვესტიციო ღონისძიებების კომპლექსური ანალიზისა და ძირითადი პრობლემური საკითხების გამოსავლენად გამოყენებულია ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (**OECD**) მიერ რეკომენდირებული ჩარჩო საინვესტიციო პოლიტიკის შეფასების მეთოდური მითითებები და გაერთს ვაჭრობისა და განვითარების კომისიის (**UNCTAD**) მიერ რეკომენდირებული საინვესტიციო პოლიტიკის მიმოხილვის მეთოდოლოგია, რომელიც აპრობირებულია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის, არსებული პრობლემებისა და ახალი გამოწვევების შესაფასებლად გამოყენებული იქნა ლიტერატურული მიმოხილვისა და სამართლებრივი აქტების ანალიზი. აანალიზებული იქნა გრცელი ინფორმაცია, მთავრობის მიერ გამოცემული და საზოგადოდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები, ოფიციალურ პირთა, მკვლევართა, კერძო სექტორის წარმომადგენელთა და დამოუკიდებელი ექსპრტების მიერ სხვადასხვა წყაროებში (მ.შ. პირად საუბრებსა და ინტერვიუებში) გამოთქმული მოსაზრებები.

ინფორმაციების მოპოვება განხორციელდა აგრეთვე პირისპირ, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო მოსამსახურეებთან ინტერვიუებისა და პირადი კონსულტაციების მეშვეობით. კითხვები შეირჩა როგორც წინასწარ განსაზღვრული, ასევე პირისპირ საუბრის დროს. წარმომადგენლებს შევეკითხეთ იმ პრობლემებისა და კრიტიკული საკითხების თაობაზე, რაც საჭიროა ქვეყნის ეფექტური საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებისთვის.

ინვესტორთა დაცვის სფეროში არსებული სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემების შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა ე.წ case study მეთოდი. შესწავლილ იქნა ათეულობით კეისი და მათთან დაკავშირებული ყველა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და თეორიული მნიშვნელობა. ნაშრომი წარმოადგენს ანალიტიკური კვლევის საფუძველზე შესრულებულ პირველ ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელშიც კომპლექსურადაა გამოკვლეული საინვესტიციო კლიმატის კონცეფცია, მისი განმსაზღვრელი მთავარი ეკონომიკური ფაქტორები საქართველოში და მათი ზეგავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებზე.

ნაშრომში მთავარ სიახლეებს წარმოადგენს შემდეგი:

- გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა (დარგებისა და წყაროების მიხედვით), დინამიკა და ეფექტი/გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.
- რეგრესიული ანალიზის გამოყენებით გამოვლენილ იქნა პუისა და ეშპს ურთიერთკავშირის ფორმები და განისაზღვრა მათი რაოდენობრივი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი.
- საინვესტიციო პოლიტიკის მიმოხილვის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში გატარებული ზოგადი და სპეციფიკური დონისძიებები, გამოვლენილ იქნა ძირითადი პრობლემური საკითხები, რეფორმების პრიორიტეტული მიმართულებები.
- ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული მეთოდის და კითხვარის გამოყენებით შესწავლილ და შეფასებულ იქნა საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის

განმსაზღვრელი ყველა ძირითადი კომპონენტი. შედეგად გამოვლენილ იქნა საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პრობლემატური სფეროები. შედგენილ იქნა სპეციალური ანალიტიკური ცხრილი, რომელიც შეიცავს ზოგად და სპეციფიკურ საინვესტიციო ზომებს.

- ლიტერატურული ანალიზის მეთოდი გამოყენებული იქნა მთავრობის მიერ გამოცემული საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტების მიმოხილვისათვის, გამოვლენილ იქნა ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები და გამოწვევები. მათ შორის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში 2007 წლამდე დაცული საჯარო ინფორმაციის (წლიური მოხსენებები, საჯარო კომპანიების ანგარიშები, განხილული საქმეები და ადმინისტრაციულ საქმეთა საჯარო განხილვის შედეგები). ანალიზით გამოვლინდა კორპორაციულ მართვასთან და აქციონერთა საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები და შემუშავდა განსაკუთრებული რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც გააუმჯობესებს აქციონერთა დაცვის მექანიზმებს.

პუბლიკაციები. ნაშრომის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა კონფერენციებზე და გამოქვეყნებული ავტორის მიერ შესრულებულ 18 როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში.

ნაშრომის ძირითადი შედეგები, პრაქტიკული მნიშვნელობა და დანერგვა. ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები და დასკვნები მათი ეფექტური გამოყენების პირობებში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფაში და ზოგადად საინვესტიციო კლიმატის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ნაშრომში წარმოდგენილ შედეგებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ და შეიძლება უფექტურად იქნას გამოყენებული საინვესტიციო პოლიტიკის ფორმულირებასა და რეალიზებაში.

ნაშრომი განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს მთავრობას, სტატისტიკურ დეპარტამენტს, ინვესტორებს

(განსაკუთრებით პორტფელურ), ადგილობრივ და უცხოულ ექსპერტებს, მეცნიერებს, სტიპენდიანტებს, მკვლევარებს, სტუდენტებს და საზოგადოების სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

2. ნაშრომის შინაარსი

ნაშრომის პირველი თავში “ლიტერატურის მიმოხილვა” ძირითადად განხილულია საინვესტიციო კლიმატზე არსებული შესაბამისი ლიტერატურა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. ლიტერატურა მოიცავს სახელმძღვანელოებს, სტატიებს, ანგარიშებს, სტატისტიკურ მასალებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ მოხსენებებს, ინფორმაციულ ბუკლეტებს, ანალიტიკურ ანგარიშებს და სხვ. საჭირო ლიტერატურის მოპოვების შემდეგ მოხდა მათი სათანადო დამუშავება და კლასიფიკაცია, დაჯგუფება სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, კერძოდ აღნიშნულ თავში არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილია საინვესტიციო კლიმატის კონცეფციის არსი, მისი ეკოლუცია ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, პრობლემები, პერსპექტივა და კონცეფციის განმსაზღვრელი ფაქტორები.

ამ თავში განხილული და გაანალიზებულია ზოგადი და სპეციფიკური საინვესტიციო სტრატეგიები, თუ როგორ უნდა მოზიდოს და მიიღოს სარგებელი ქვეყანამ. გამოვლენილია საინვესტიციო კლიმატზე მოქმედი მთავარი, მათ შორის ეკონომიკური ფაქტორები. ხაზგასმულია საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელობა საინვესტიციო რესურსების გენერირებაში, კერძოდ აღნიშნულია, რომ: საგადასახადო სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოების ობიექტურ და სამართლიან მოთხოვნაზე. აქვე აღნიშნულია, რომ მიუხედავად საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმებისა და დადგებითი ცვლილებებისა, გადასახადების ადმინისტრირება ინვესტორებისათვის ჯერ კიდევ იმ მთავარ პრობლემათაგანია, რომელიც ხელისუფლების მხრიდან გადაუდებელ სრულყოფას საჭიროებს.

ნაშრომის ამ ნაწილში დახასიათებული და გაანალიზებულია ზოგადი საინვესტიციო დონისძიებები და სპეციფიკური სტრატეგიები, რომლებსაც მიმართავენ ქვეყნები ინვესტიციების მოსაზიდად და მასპინძელი ქვეყნისათვის

მაქსიმალური სარგებელის მისაღებად. ხაზგასმულია, რომ როგორც ინვესტიციების წახალისების ერთერთი ფორმა ქვეყანაში უნდა განავითაროს ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომ შემოსავლების ნაწილი მოხმარდეს წარმოების განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია საგადასახადო სისტემის არაეფექტურობაზე, განსაკუთრებით საგადასახადო ადმინისტრირებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთებულია დასკვნა, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემაა ქართულ ლიბერალიზებულ ბიზნეს გარემოში.

ნაშრომის ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არატრანსპარენტულობისა და სახელმწიფო პოლიტიკის არათანმიმდევრულობის პრობლემებს და ხასგასმულია რომ: ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, არსებული სამართლებრივი დებულებების სუსტი აღსრულება, დისკრიმინაციული მიდგომები და ფავორიტიზმი არ ქმნის სტაბილურობის განცდას, რაც საქართველოში მოქმედი ინვესტორების მთავარი პრობლემაა.

ადმინისტრაციული პროცედურები და მარეგულირებელი ჩარჩო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც უცხოური ასევე, ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. ინვესტორთათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თამაშის წესები იყოს წინასწარ დადგენილი, ცხადი და სტაბილური და რაც მთავარია არადისკრიმინაციულად ხორციელდებოდეს შესაბამისი სტრუქტურების მიერ. ამ მიზნით აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას ძირითადი ადმინისტრაციული დამაბრკოლებელი/ხელისშემშლელი ფაქტორები.

ნაშრომის მეორე თავში “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები და ეფექტები საქართველოში” დახასიათებულია ქვეყნის განვითარების არსებული დონე, გაანალიზებულია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ქვეყნის საერთაშორისო ეკონოკმიკაში ინტეგრაციის ხარისხი, საერთაშორისო საგაჭრო სტატისტიკა, საგადამხდელო ბალანსი და ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ინვესტიციების შემზღვდავი ძირითადი ფაქტორები და სხვა. გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა (დარგებისა და წყაროების მიხედვით) და ეფექტი/გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (კავშირი უცხოურ ინვესტიციებსა და ძირითად ეკონომიკურ

მაჩვენებლებს შორის, როგორიცაა პროდუქტიულობის ზრდა, დასაქმება და შემოსავლები, კაპიტალის აკუმულირება და სხვა).

გაკეთებულია ანალიტიკური დასკვნა, რომ მიუხედავად მისი დადებითი დინამიკისა წლების განმავლობაში არ სებითად არ ასახულა დასაქმებასა და შემოსავლებზე, რაც ავტორის აზრით, შესაძლოა აიხსნას იმით, რომ, როგორც წესი, პუის ეფექტი დროში ყოველთვის არ ემთხვევა მის შემოდინებას, ასევე სახელმწიფო შესყიდვებისა და საპრივატიზაციო ობიექტების გაყიდვით შემოსული სახსრების მაღალი ხვედრითი წილით ინვესტიციების საერთო მოცულობაში (რასაც რეალურად მნიშვნელოვნად არ შეუცვლია წარმოების სტრუქტურა და მოცულობა). იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო დახმარებებზე, რომელიც რეალურად არ ხმარდება სამუშაო აღგილების შექმნას და ქვეყანაში წარმოების მასშტაბების გაფართოებას.

ნაშრომის მესამე თავში “საინვესტიციო პოლიტიკის მიმოხილვა”;
შეფასებულია საქართველოს ზოგადი საინვესტიციო პოლიტიკა და მისი მირითადი კომპონენტები. ნაშრომის ეს თავი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით (კერძოდ: მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ექსპერტების, საქართველოს მთავრობის, ბიზნესის წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების და სხვა) მიმოიხილავს ინვესტიციებზე მოქმედ სპეციფიკურ და ზოგად ღონისძიებებს. ამ თავის შემდგომ ნაწილში გაანალიზებულია/შეფასებულია მიმდინარე პროგრესი და პრობლემები და დასასრულს შემოთავაზებულია პრიორიტეტული მიმართულებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პუი-თ მაქსიმალური სარგებელის მიღება და იმავდროულად არ შეილახოს/დაცულ იქნას ეროვნული ინტერესები.

ამავე თავში აღწერილია ზოგადი საინვესტიციო პოლიტიკა და წესები, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. მათ შორისაა: საგადასახადო რეჟიმი, სავალუტო კონტროლი, კაპიტალისა და ტექნოლოგიების გატანა, შრომითი რესურსების რეგულირება, მიწის კანონმდებლობა და კერძო საკუთრების დაცვა, გარემოს დაცვითი მენეჯმენტი, კორპორაციული მართვა და საანგარიშგებო პრაქტიკა, სასამართლო ხელისუფლება და კანონის უზენაესობა, კონკურენციული პოლიტიკა, დარგობრივი რეგულირება, საგაჭრო ხელშეკრულებები და სხვა. გაანალიზებულია სამართლებრივი დებულებები,

რომელიც არეგულირებენ ქვეყნის ბაზარზე ინვესტიციების შესვლას, დამკვიდრებას და დაცვას, მათ შორის ექსპროპრიაციის, კაპიტალის მომრაობის, დავების გადაწყვეტისა და სხვა საკითხებს.

საზღასმულია საგანმანათლებლო პოლიტიკის როლი საქართველოს საერთო ეკონომიკურ სტრატეგიაში, ისევე როგორც ადამიანური კაპიტალისა და შრომითი რესურსების რეგულირების მნიშვნელობა ეკონომიკის გადარჩენისა და პუის მოზიდვის მხრივ განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც საქართველოს შედარებითი უპირატესობა აქვს.

ნაშრომის მეოთხე თავში “**კვლევის მეთოდოლოგია, შედეგები და აღმოჩენები**” აღწერილია ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია. გამოყენებულია რამდენიმე მეთოდი, მათ შორის:

პუისა და ეშპ-ის ურთიერდამოკიდებულების გასარკვევად და დეტალური ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულ იქნა **სტატისტიკური კვლევა – რეგრესიული ანალიზი**, რომელიც შესრულდა სასს პროგრამაში. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პუისა და ეშპ-ს ურთიერდამოკიდებულების შეფასება. უფრო კონკრეტულად, რეგრესიული ანალიზი დაგვეხმარა გაგვეგო, თუ როგორ იცვლება პუის დირებულება, როდესაც ეშპ მერყეობს. შევეცადეთ გამოგვევლინა ამ ურთიერთკავშირის ფორმები.

პუისა და ეშპ-ის რეალური ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობის დასადგენად ჩატარდა რეგრესიული ანალიზი, სადაც ანალიზის გასაკეთებლად განისაზღვრა შესაბამისი საკვლევი მიზანი. ნაშრომში წარმოდგენილ იქნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ეკონომიკური ფაქტორი, ეშპ, მოხდა მათი ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, რისთვისაც განისაზღვრა საანგარიშო პერიოდი - 1997-2009 წლები.

ჩატარებული კვლევის შედეგები აგტორის მიერ იქნა გაანალიზებული. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთდა მნიშვნელოვანი დასკვნები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: კორელაციის, თანაფარდობის კოეფიციენტი, R უდრის 0.821, რომელიც აჩვენებს პუისა და ეშპ-ს ძლიერ თანაფარდობას. R^2 აჩვენებს, რომ ეშპ-ს 67.4% - ით ცვლა (ვარიაცია, გადახრა) შეიძლება აიხსნას პუი-თ. ეშპ-ს მიმდინარე ფასების მეშვეობით დადგინდა

საშუალო სიდიდე (mean) – 1.87 და სტანდარტული გადახრა – 0.99. ამ მონაცემების მეშვეობით ავაგეთ სიხშირის პისტოგრამა, ვიპოვეთ სიხშირის ალბათობა და დავხაზეთ რეგრესიული სტანდარტული ნაშთის ნორმალური – განაწილების გრაფი. ეშპ-ს მიმდინარე ფასების მეშვეობით ასევე ავაგეთ მიმოფანტვის გრაფი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოდ ემპირიული, ცდისეული შედეგები ზუსტია შესაბამის ცვლადებთან მიმართებაში.

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ თუ შევხედავთ t სტატისტიკას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პუი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია თუნდაც 99% მნიშვნელობის დონეზე.

რეგრესიული ანალიზის მეშვეობით მოპოვებული ანალიზის მიხედვით პუი-ს 1%-ით, ანუ 1 მილიონი ლარით ზრდა იწვევს ეშპ-ს 0.42%-ით, ანუ 4. 2 მილიონი ლარით ზრდას. 95%- ის შემთხვევაში პუი გაიზრდება 3.38 მილიონი ლარიდან 5.06 ლარამდე (სტატისტიკური ცვლილება). ჩვენ გამოვიყენეთ სტანდარტიზებული კოეფიციენტი, ანუ ბეტა რათა განგვესაზღვრა რა სახის ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ამ ორ (პირდაპირ და არაპირდაპირ) ცვლადს შორის და დავადგინეთ, რომ ის 82.1% - ს უდრის, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მიუთითებს იმაზე, რომ ამ ორ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ მაღალია, რისი დადგენაც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა.

რეგრესიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პუი დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ამდენად პუი-ს შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ამავე თავში აღწერილია ასევე საინვესტიციო პოლიტიკის ზოგადი ჩარჩო შესაბამისი პრაქტიკული მითითებების გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს ზოგადი საინვესტიციო პოლიტიკისა და მისი 10 ცალკეული ქვეკომპონენტების (საინვესტიციო პოლიტიკა, ინვესტიციების წახალისება და მხარდაჭერა, სავაჭრო პოლიტიკა, კონკურენციული პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, კორპორაციული მართვა, ბიზნეს პრაქტიკა, ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა და საჯარო მმართველობა) – შეფასებას სპეციალური კითხვარის მეშვეობით. თითოეული თავი შეიცავს პოლიტიკის შესაბამისი

კომპონენტის შეფასებისათვის ძირითად კითხვებს, რომელთა პასუხების მიხედვითაც შესაძლებელია მსჯელობა, რამდენად უზრუნველყოფილია ამა თუ იმ პოლიტიკის სფეროში საინვესტიციო პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიის განხორციელება. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა კომპლექსურად იქნეს გაანალიზებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი/ასპექტი, რომლის გათვალისწინებაც მოუწევს ნებისმიერ მთავრობას თუ იგი დაინტერესებულია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაში ან/არსებულის გაუმჯობესებაში.

ამავე თავში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორი ქვეკომპონენტის – კონკურენციული პოლიტიკისა და კორპორაციული მართვის, - განხილვას, რომელთა მნიშვნელობაც, განვითარების ამ ეტაპზე, ავტორის აზრით, დაუსაბუთებლადაა იგნორირებული ხელისუფლების მიერ და რომელთა გააქტიურებაც საინვესტიციო აქტივობის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაბამისად, ავტორმა ნაშრომში ვრცლად მიმოიხილა კონკურენციული პოლიტიკის მნიშვნელობა ზრდისა და განვითარებისათვის, ისევე როგორც კორპორაციული მართვის, როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი კაპიტალის ბაზრის გამოცოცხლებასა და საინვესტიციო აქტივობის ზრდაში.

აქევე ხაზგასმულია, რომ ზოგადი საინვესტიციო ჩარჩო პოლიტიკის შეფასების პროცესში ამ ორი მიმართულების გამოკვეთა განპირობებულია მათი ფაქტორივი იგნორირებით და იმ პოტენციური ეფექტით, რაც ჯანსაღი კონკურენციული პოლიტიკის გატარებითა და კორპორაციული მართვის პულტურის ამაღლებით შეიძლება მოჰყვეს განსაკუთრებით პორტფელური და შიდა საინვესტიციო რესურსების მოსაზიდად.

ნაშრომში ხაზგასმულია, ავტორის პოზიცია, რომ თითოეული მარეგულირებელი ინიციატივა (საკანონმდებლო ცვლილებება, ან მთავრობის ამა თუ იმ რგოლის ქმედება/უმოქმედობა) უნდა იყოს კომპლექსური ანალიზის საგანი ყველა დაინტერესებული მხარისათვის მარეგულირებელი ეფექტის შეფასების მიზნით. ამ პროცესში აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს ე.წ. RIA მეთოდოლოგია.

ამავე თავში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინვესტორთა დაცვის სამართლებრივი და პრაქტიკული მექანიზმების, ისევე როგორც მათი რეალიზების მდგომარეობის შესწავლას. ამ მიზნით, გამოყენებულია, როგორც

საკანონმდებლო ბაზისა და მეორადი ლიტერატურის ანალიზის შედეგები, ასევე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში, 2007 წელს ავტორის რეზიდენტობის პერიოდში მოპოვებული მასალა. მათ შორისაა: კომისიის წლიური ანგარიშები, საჯარო კომპანიების წლიური და პერიოდული ანგარიშები, ინვესტორთა საჩივრები საკუთრების უფლებების შეღახვის ფაქტებთან (კონფისკაცია, იძულებითი გამოსყიდვები და სხვა), პროცესების გამჭვირვალობასთან, დისკრიმინაციასთან და პრივატიზაციასთან დაკავშირებით, საჯარო სხდომების მასალები, კორპორაციათა მმართველი ორგანოების მიერ საანგარიშებო მოთხოვნებისა და აქციონერების საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ტიპიური კეისები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტების საჯარო განხილვის მასალები და სხვა საჯარო ინფორმაცია. გარდა ამისა, აქციონერთა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების შესწავლის მიზნით ჩავატარეთ პირისპირ ინტერვიუ ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თანამშრომლებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ კორპორაციულ მართავსთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების იძულებითი აღსრულების პროცესში, აქციონერებთან, რომელთაც პქონდათ პრობლემა კორპორაციულ მართვასა და საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით. ინტერვიუს მიზანი იყო შიდა საინვესტიციო რესურსების მობილიზების იმ ხელისშემსლელი გარემოებების გამოვლენა, რაც ასუსტებს ინვესტორთა და პოტენციურ ინვესტორთა მოტივაციას დააბანდონ ფული ქართულ კომპანიებში კაპიტალის ბაზრის მექანიზმების გამოყენებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა ისეთი ტიპიური პრობლემები, როგორიცაა: აქციონერთა საკუთრებრივი უფლებების შეღახვა კერძო საკუთრების რეგისტრაციისა და ტრანსფორმაციის პროცესში; მინორიტარი აქციონერების უფლებების იგნორორება და განდევნა (მათ შორის დაკანონებული მექანიზმებით); ფინანსური ინფორმაციის ღიაობისა და ხელმოსაწვდომობის პრობლემები და სხვა.

დასკვნითი ნაწილი და რეკომენდაციები. საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას და მეტი ინვესტიციების მოზიდვას ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის უადრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მით უმეტეს მნიშვნელოვანია იგი განვითარებადი ქვეყნებისათვის. ჯანსაღი საინვესტიციო

კლიმატი მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებით განხორციელებული კომპლექსური და თანმიმდევრული რეფორმებით მიიღწევა და შესაბამისად მისი როგორც მრავალფაქტორული შედეგის მიღწევა გულისხმობს საინვესტიციო გარემოს კომპლექსურ ანალიზს მრავალი შიდა და გარე ფაქტორის გათვალისწინებით. ამიტომ ამ საკითხის დეტალურად შესასწავლად მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი: პირველ რიგში, ქვეყანამ საჭირო ზომები უნდა მიიღოს, რათა ხელი შეუწყოს ექსპორტის დივერსიფიკაციას და შეამციროს იმპორტის შენაცვლების სტრატეგია. მიუხედავად ბიზნეს გარემოს ლიბერალიზაციის პროცესში მიღწეული წარმატებებისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ქვეყანაში მწვავედ დგას საკითხი საკუთრების უფლებების შელახვისა, ინვესტორთა ფინანსური უფლებების შელახვის, გამჭვირვალობის, საგადასახადო ადმინისტრირების, დავების სამართლებრივი გზით გადაწყვეტისა და სხვა პრობლემები, რაც პოლიტიკურ არასტაბლურობასთან ერთად მნიშვნელოვნდა ზრდის რისკებს და კაპიტალის ფასს.

ინვესტიციების შემოდინება რევოლუციის შემდგომი პირველი წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. რაც ძირითადად განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ბუნებრივ და ენერგო რესურსებზე კონკურსტორება, იაფი და მეტ-ნაკლებად განათლებული მუშა-ხელი, წარმოების ტრადიციები და რაც მთავარია ქვეყანაში განხორციელებული ლიბერალიზაციისა და დერეგულაციის პროცესში – ეს ყველაფერი წარმოადგენდა მთავარ ფაქტორებს ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად. თუმცა, დღესდღეობით საქართველო სერიოზული პრობლემების წინაშეა – არსებობს სერიოზული საფრთხეები ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნების თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია როგორც გლობალური ფინანსური კრიზისით და რუსეთ - საქართველოს საომარი ვითარებითა და მისი თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურით შედეგებით. ასევე სხვა მიზეზებით, რომელთა გამოსწორებაც აუცილებლად მოუწევს ხელისუფლებას იმისათვის, რომ შეინარჩუნოს არსებული ინვესტორები და მოიზიდოს ახალი საინვესტიციო რესურსები.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და აგვისტოს კონფლიქტისა, ინვესტიციების მოსაზიდად და ასევე მრავალი დარგისა და ბიზნესის ახალი სფეროს განვითარების თვალსაზრისით საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია. ამ სიტუაციაში მთავარი გამოწვევები მდგომარეობს შემდეგში: ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს/ადადგინოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და მისცეს ინვესტორებს სტიმული ფულის დაბანდებისა, რაც განსაკუთრებით რთული ამოცანაა მსოფლიო ფინანსური კრიზისით გამოწვეული საინვესტიციო რესურსებისათვის გამძაფრებული კონკურენციის პირობებში. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ არსებული და მოვიზიდოთ ახალი ინვესტორები აუცილებელია აღვადგინოთ რწმენა/ნდობა, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და ჯანსაღი კონკურენციული პოლიტიკა აღიარებულია პირველი რიგის პრიორიტეტებად.

ამ მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, რათა ქვეყანაში მოიზიდოს უფრო მეტი პუ:

- უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება და სტაბილურობა;
- უზრუნველყოს ისეთი პოლიტიკა და ქმედებები რომელიც გაადვილებს არა მხოლოდ ბიზნესის დაწყებას, არამედ ბიზნესის წარმოებას სტაბილურ, არადისკრიმინაციულ და პროგნოზირებად გარემოში;
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შექმნას პუის ხელშემწყობი სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ადგილობრივი ბაზრის ზრდას შეუწყობს ხელს, სათანადოდ განვითარებული ადეკვატური ინფრასტრუქტურისა და ადამიანური კაპიტალის ჩათვლით.
- უზრუნველყოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაცია სამართლიანი კონკურენციის, როგორც საგაჭრო პოლიტიკის უმნიშვნელოვანების ელემენტის გარემოში. ამას გარდა, ხელი შეუწყოს შიდა ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ადგილობრივი საწარმოების განვითარებასაც.

- განავითაროს საერთაშორისო ურთიერთობები თომხრივი და მრავალმხრივი საგაჭრო და ეკონომიკური შეთანხმების საფუძველზე.

საზოგადოდ, არასათანადო გამჭვირვალობამ და უცხოური ვაჭრობის რეგულირების (მართვის) წესების ხშირმა და მოულოდნელმა ცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის მონაწილეთათვის დამატებითი ხარჯები. შესაბამისად, პროცედურებისა და მოთხოვნების მაქსიმალური განსაჯაროება და დაყვანა ბიზნეს წრეებამდე ძალზედ მნიშვნელოვანია.

გამჭვირვალობისა და ინვესტორთა ნდობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია კორპორაციული მართვის მაღალი კულტურა, რაც კორპორაციული მართვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების აღიარებასა, საკანონმდებლო მექანიზმებით განმტკიცებასა და დაცვაში გამოიხატება. როგორც კვლევები ადასტურებს კორპორაციული მართვის პრობლემები ჯერ კიდევ წარმოადგენს სერიოზულ ხელისშემსლელ ფაქტორს საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებაში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში დღემდე სერიოზული პრობლემებია აქციონერთა ფინანსური და არაფინანსური უფლებების შელახვა, რაც საჭიროებს კორპორაციული მართვის მთელი სისტემის, პირველ რიგში ფინანსური დიაობისა და ტრანსპარენტულობის ხარისხის გაუმჯობესებას. არსებული საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არასრულყოფილია, იძულებითი ადსრულება კი ნაკლებად ეფექტური, რაც მოითხოვს როგორც სასამართლო სისტემის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ასევე საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის როლისა და ინსტიტუციური შესალებლობების გაძლიერებას.

განვითარების თანამდეროვე ეტაპზე, პრიორიტეტულ ამოცანებად ისახება: ინვესტორთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერება და ამ მიზნით კორპორაციული მართვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების უზრუნველყოფი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფა და პრაქტიკაში დანერგვა, მათ შორის იძულებითი ადსრულების მექანიზმების გამოყენებით; კერძო სექტორში კორპორაციული კულტურის განვითარების მაქსიმალური ხელისშეწყობა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ძირითადი ინტერეს ჯგუფებისათვის (აქციონერი, მმართველი ორგანო, მოსამართლები).

საინვესტიციო აქტივობის დონე საქართველოს კაპიტალის ბაზარზე (და განსაკუთრებით საჯარო ვაჭრობის მეშვეობით) ჯერ კიდევ დაბალია. რაც აიხსნება საინვესტიციო რესურსების სიმწირით, მიმზიდველი საინვესტიციო ინსტრუმენტების ნაკლებობით, კორპორაციული მართვის სტანდარტების დაბალი დონით, პრივატიზების პროცესებში საბირჟო მექანიზმების გამოყენებლობით, საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის უქონლობით და მრავალი სხვა მიზეზით. კაპიტალის ბაზრის გააქტიურებისა და შიდა საინვესტიციო რესურსების მობილიზების ერთ-ერთ ძირითად გზად მიგაჩნია პრივატიზების პროცესებში საბირჟო ვაჭრობის მექანიზმების აქტიური გამოყენება, მ.შ. სტრატეგიული ობიექტების გარკვეული წილის გაყიდვა საფონდო ბირჟის მეშვეობით.

საკუთრებისა და მართვის (კონტროლის) სტრუქტურა უფრო გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ამ მიზნით, აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის და მისი აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება და იმულებითი აღსრულების ეფექტიანობის ამაღლება.

სახელმწიფო შესყიდვები და საპრივატიზაციო ტენდერები უნდა წარიმართოს ჯანსაღი საბაზრო კონკურენციის პრინციპების დაცვით, რაც იმთავითვე გამორიცხავს ამ პროცესებში მონაწილეობა დისკრიმინაციას, რომელიმე მათგანისათვის დაუსაბუთებელი შედავათებისა და უპირატესობების მინიჭებას და გააძლიერებს ინვესტორების რწმენას, რომ მათი უფლებები არ იქნება დარღვეული და ისინი შეურაცხეოფილნი არ დარჩებიან როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის მიერ.

სახელმწიფო შესყიდვების, საპრივატიზაციო პროცესების არსებული პრაქტიკა და გამჭვირვალობის პრობლემები კიდევ უფრო აქტუალურს და გადაუდებელს ხდის კონკურენციული პოლიტიკის გაჯანსაღებას და ამ მიზნით შესაბამისი საკანონდებლო და ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელებას. მათ შორის: აუცილებელია, რომ ზოგადი კანონი კონკურენციის შესახებ ვრცელდებოდეს ზოგადი ეკონომიკის მასშტაბით, შეწყდეს დარგობრივი ნიშნით მისი ფრაგმენტაციის პროცესი, გავრცელდეს ფორმის ანტიკონკურენციულ ქმედებებზე და მისი აღსრულების მიზნით შეიქმნას სათანადო უფლებამოსილებებით აღჭურვილი დამოუკიდებელი

ინსტიტუტი. ეს ყოველივე შეესაბამება როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკას.

საინვესტიციო პოლიტიკა, ისევე როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში განხორციელებული ცვლილებები უნდა იქცეს მარეგულირებელი გავლენის ანალიზის საგნად, რათა განისაზღვროს მარეგულირებელი ინიციატივებისა და ქმედებების მოსალოდნელი ეფექტი/შესაძლო გავლენა ყველა დაინტერესებული ჯგუფის და პირველ რიგში საზოგადოების ინტერესებზე და უზრუნველყოფილ იქნას მარეგულირებელი პროცესის კომპლექსურობა და თანმიმდევრილობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიუხედავად (მარეგულირებელი რეჟიმის გამკაცრების ჩათვლით), საქართველოში ადგილი აქვს ეკონომიკურ თავისუფლების მომავალი ზრდის სისტემატურ დეკლარირებას (ერთი-ერთი მაგალითია თავისუფლების აქტის ინიცირება), თუმცა ეკონომიკური თავისუფლების ასეთი ატრიბუტების, როგორიცაა კერძო საკუთრება და ჯანსაღი კონკურენცია, დაცვის სამართლებრივი და პრაქტიკული მექანიზმები ხშირად იგნორირებულია. სახეზეა არათანმიმდევრულობის პრობლემაც, კერძოდ: თავისუფლების აქტის ინიცირების პარალელურად კანონში „ინვესტიციების მხარდაჭერისა და გარანტიების შესახებ“ შეტანილი ცვლილებებით აშკარად დასუსტდა ინესტორთა დაცვის გარანტიები. ფაქტობრივად ესაა უკან გადადგმული ნაბიჯი და მიგვაჩნია, რომ უნდა აღსდგეს ამ კანონის 53³ მუხლით გათვალისწინებული დებულების 2010 წლამდე მოქმედი რედაქცია, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორთა უფლებების ხელშეუხებლობას მინიმუმ 10 წლის განმავლობაში და გარდა ამისა დავების გადაწყვეტის შესაძლებლობას საერთაშორისო ინსტიტუტებში.

განსაკუთრებულ პრობლემათა შორისაა საგადასახადო ადმინისტრირება, რაც კიდევ უფრო ნაკლებად კეთილგანწყობილი გახდა ინვესტორთა მიმართ. უკანასკნელ პერიოდში ადგილობრივი ფინანსური კონტროლი უფრო აქტიური გახდა და ყველაფერმა ამან გააძლიერა (დაამძიმა) არასტაბილურობისა და

არაპროგნოზირებადობისა და დაუცველობის განცდა, რაც უარყოფითად აისახა საინვესტიციო აქტივობაზე.

უკანასკნელი წლების გაზრდილი საინვესტიციო ნაკადების ფონზეც კი არ შეინიშნებოდა გაზრდილი ინვესტიციების ეფექტურობა/გავლენა მცირე ბიზნესის განვითარებაზე, რაც ლოგიკურად მათი საექსპორტო შესაძლებლობების ზრდასა და პარტნიორული ურთიერთობების გააქტიურებაში უნდა გამოხატულიყო. ეს საკითხი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. სიღატაკის პრობლემებზე სასიკეთო გავლენაც ნაკლებადაა გამოვლენილი/შემჩნეული, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ მიკროეკონომიკური გაგებით უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებში დასაქმებულთა მდგომარეობა რომ გაცილებით უკეთესია არავინ დავობს.

და ბოლოს, ზემოთ ნახსენები რეკომენდაციები მიუთითებს, რომ უცხოური ინვესტიციების წახალისება ავტომატურად არ განაპირობებს ქვეყნის განვითარების მიზნების მიღწევებს, ამიტომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისათვის აუცილებელია რომ:

- ქვეყანამ კომპლექსური და თანმიმდევრული რეფორმებით გააუმჯობესოს საინვესტიციო კლიმატი (და არა მისი განმსაზღვრელი ცალკეული კომპონენტი), და უზრუნველყოს მისი კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნებთან შედარებით (საინვესტიციო რესურსებისათვის კონკურენცია გამძაფრებულია) და რაც ყველაზე მთავარია, საინვესტიციო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს იმ ინვესტიციების წახალისებაზე, რომელიც წაადგება ქვეყნის კონკურენციული უპირატესობების რეალიზაციას და შექმნის მეტ სამუშაო ადგილებს.

- უნდა გაუმჯობესდეს საინვესტიციო კლიმატის ხელისშემწყობ მექანიზმებთან და უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტრატეგია ინვესტორებისა და ქვეყნის უფლება - მოვალეობების დაბალანსებით. ყველა საინვესტიციო პოლიტიკური გადაწყვეტილება და მექანიზმი უნდა შეიცავდეს – ფასი (მათ შორის სოციალური) - სარგებელის თანაფარდობის ანალიზს.

- ქვეყნის მთავრობამ უნდა შეაფასოს უცხოური ინგესტიციების წახალისებასთან დაკავშირებული ყველა პოლიტიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი ეფექტები და განსაზღვროს რამდენად მისაღებია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით კაპიტალის ფასი. მხოლოდ ღრმა ანალიზის საფუძველზე იქნება სახელმწიფოს გრძელვადიანი მიზნების შესაბამისი თანმიმდევრული და კომპლექსური საინვესტიციო პოლიტიკის განვითარება, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს პუი-ს ნაკადების ზრდას და შიდა საინვესტიციო რესურსების მობილიზებას და მეორეს მხრივ ეკონომიკის ისეთ სტრუქტურას, რომელიც შექმნის ქვეყნის ფარდობითი უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობას.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

1. Imnaishvili, A., Kbilstskhlashvili, T. (June, 2009). *Georgia's Perspectives for Investment Growth*, IBSU International Refereed Multi – Disciplinary Scientific Journal, N 2 (2), International Black Sea University; Tbilisi.
2. Kbilstskhlashvili, T. (January – June, 2006). *The Role of Euro in the International Monetary System*, Scientific Journal of International Black Sea University, Volume I, Tbilisi, 69-75.
3. Kbilstskhlashvili, T. (December, 2006). Efficient *Portfolio Construction from Risky and Risk – Free Assets*, Periodical Scientific Journal of Georgian Foundation for Development of Sciences and Society, “Inteleqt”, Volume III, Tbilisi.
4. Kbilstskhlashvili, T. (April, 2007). *How Foreign Exchange Market Works?* Periodical Scientific Journal of Georgian Foundation for Development of Sciences and Society, “Inteleqt”, Volume I, Tbilisi.
5. Kbilstskhlashvili, T. (August, 2007). *Investment Climate in Georgia*, Periodical Scientific Journal of Georgian Foundation for Development of Sciences and Society, “Inteleqt”, Volume II, Tbilisi.
6. Kbilstskhlashvili, T. (August, 2007). *Poverty in Georgia*, Periodical Scientific Journal of Georgian Foundation for Development of Sciences and Society, “Inteleqt”, Volume II, Tbilisi.
7. Kbilstskhlashvili, T. (January, 2008). *Capital Allocation in Complete Portfolio*, Journal of Intercultural Communications; Intercultural Relations Society; N 3.
8. Kbilstskhlashvili, T. (May, 2008). *Poverty Problems in Georgia*, Journal of Intercultural Communications, Intercultural Relations Society, N 4, Tbilisi.
9. Kbilstskhlashvili, T. (August, 2008). *Effectiveness of Foreign Direct Investment for Georgia*, Periodical Scientific Journal of Georgian Foundation for Development of Sciences and Society, “Inteleqt”.
10. Kbilstskhlashvili, T. (March – April, 2008). *Benefits of Diversification*, International refereed and reviewed scientific and practical journal of the Faculty of Economics and Business: “Economics and Business”, Iv. Javakhishvili State University of Tbilisi, Georgia.

- 11.** Kbiltsetskhvili, T. (June, 2008). *Development of the Banking System in Georgia*, IBSU International Refereed Multi – disciplinary Scientific Journal, N 1 (2), International Black Sea University, Tbilisi.
- 12.** Kbiltsetskhvili, T. (December, 2008). Investment Climate of Georgia after “Rose Revolution”: Recent Improvements and New Challenges - IBSU International Refereed Multi – Disciplinary Scientific Journal, N 2 (2), International Black Sea University.
- 13.** Kbiltsetskhvili, T. (December, 2008). *The Influence of Market Economy on Georgian Family* - IBSU International Refereed Multi – Disciplinary Scientific Journal, N 2 (2), International Black Sea University; Tbilisi.
- 14.** Kbiltsetskhvili, T. (October, 2009). *Social and Economic Welfare of Georgian Family*, Journal of Intercultural Communications; Intercultural Relations Society; N10; Tbilisi.
- 15.** Kbiltsetskhvili, T. (2010). *The Impact of The Global Financial Crisis on Georgia’s Investment: Threat of Slowing Down Investment Flows after Georgia/Ossetian War*, What Others Manifest? The World Economy in the Theoretical Turbulence of Global Financial Crises, 1st International Conference on Critical Issues in Business and Economics, First Edition, Gumushane University Press, Turkey.
- 16.** Kbiltsetskhvili, T. (12 June, 2010). *The Importance of Foreign Direct Investment on Economic Development of Georgia*, Annual International Scientific Conference: Authority and Society, (History, Theory, Practice), Open Diplomacy Association, Tbilisi, Georgia.
- 17.** Kbiltsetskhvili, T. (August, 2010). *Effects of Global Financial Crises on Economic Development of Georgia: FDI Perspectives*, Socialuri Ekonomika, N4, Tbilisi, Georgia.
- 18.** Ozsoy, I., & Kbiltsetskhvili, T. (2008). *The Georgian Family In The Transition Conditions*, Proceedings of the Third International Conference Of The Asian Philosophical Association (ICAPA 2008), Ideals of the Asian Community Aspirations for Harmonized World Order, Al – Farabi Kazakh National University, Almaty, Kazakhstan, Fatih University Press.

